სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №02-287

05 დეკემბერი 2016 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ „იუსტიციის სახლი“ (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი **აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) მოვალეობის შემსრულებლის ავთანდილ კოხრეიძის** სახით და მეორე მხრივ, **ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“** (შემდგომში “მიმწოდებელი”) სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **(SMP160003075)**, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე იმ დოკუმენტებით, რომლებზეც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია **საბეჭდი ქაღალდის** (30197630 - საბეჭდი ქაღალდი) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და რაოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **19650,00 (ცხრამეტიათასს ექვსასა ორმოცდაათი)** ლარს;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3. მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ერთეულის და საერთო ფასი მოცემულია დანართში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **სსიპ „იუსტიციის სახლის“ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამსახური;**

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდეგ, მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები:

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. დაფინანსების წყარო: სსიპ „იუსტიციის სახლი“-ს 2016 წლის საკუთარი შემოსავლები.

7. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:**

7.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღე;

7.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილი: ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. №2;

8. **პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. **მხარეთა ვალდებულებანი**

9.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.1.1. გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

9.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2. „შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10. **ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;

10.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;

10.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11. **ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა**

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;

11.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

12.2. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით;

12.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს: საგარანტიო მომსახურების ნაწილში - ხელშეკრულების 12.1 ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების მე-9 მუხლი მოქმედებს ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, ხოლო ყველა სხვა ნაწილში ხელშეკრულება მოქმედებს **2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „იუსტიციის სახლი“
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.№2
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი: TRESGE22
მიმღებიანგარიში/სახაზინოკოდი: 707467520
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 580 202

მიმწოდებელი:

ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“
ქ. თბილისი, აღმაშენებლის #55/1
ს/კ: 01009005243 **ტ:** 2 96 19 31; 599 94 45 17;
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს „საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ავთანდილ კოხრეიძე

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) მოვალეობის შემსრულებელი

ი.მ. გიორგი კანდელაკი

დანართი

ფასების ცხრილი

№	დასახელება	აღწერილობა	რაოდენობა (შეკვრა)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	საბეჭდი ქაღალდი DoubleA	მწარმოებელი ქვეყანა: საფრანგეთი გრამაჟი (გრ/მ2) – **80** სისქე (UM) – **107** სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით-%) – **165** გაუმჭვირვალობა (%) – **>95%** სიკაშკაშე (%) – **>98%** ზედაპირის ხაოიანობა (ML/MIN) – **<150** შეკვრაში ფურცლების რაოდენობა - **500 ფურცელი**	3000	6,55	19650.00
				ჯამი	**19650.00**

შემსყიდველი:

ავთანდილ კოხრეიძე

აღმასრულებელი დირექტორის (ფინანსების დირექტორი) შემსრულებელი

მიმწოდებელი:

ი.მ. გიორგი კანდელაკი

VESTA
01009005243